

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

(განმარტებითი ბარათი შედგენილია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად).

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი - პაატა კუნჭულია;

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი - კობა ხაბალაშვილი

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

შიდა აუდიტის პროცესის სისტემატიზაცია და სტანდარტიზაცია – დებულებაში დეტალურად განისაზღვრა შიდა აუდიტის სახეები, დაგეგმვის ეტაპები, სტრატეგიული და წლიური გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურები, ინდივიდუალური აუდიტორული გეგმების შედგენის წესი და რეკომენდაციების მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს შიდა აუდიტის საქმიანობის უფრო სტრუქტურირებულ და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

რისკზე დაფუძნებული დაგეგმვის პრინციპის განმტკიცება – შიდა აუდიტის დაგეგმვა მკაფიოდ უკავშირდება რისკების შეფასებას, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ განაწილებას და მაღალი რისკის სფეროებზე კონცენტრირებას.

მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობის გამიჯვნა – დებულებაში განისაზღვრა შიდა აუდიტის მარწმუნებელი და საკონსულტაციო ფუნქციების შინაარსი, ფარგლები და განხორციელების ფორმები, რაც ემსახურება აუდიტორის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვას.

რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის გაძლიერება – მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ფუნქციების დაზუსტებით ჩამოყალიბდა რეკომენდაციების რეესტრის წარმოების, შესრულების შეფასებისა და რისკების ანალიზის მექანიზმები. აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს აუდიტის შედეგების ეფექტიან პრაქტიკულ დანერგვას და კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

კანონმდებლობასთან შესაბამისობა – დებულება შესაბამისობაში მოვიდა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიისა და

საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან. ეს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სისტემის კანონიერ, დამოუკიდებელ და პროფესიულ ფუნქციონირებას.

ანგარიშვალდებულებისა და მმართველობითი პროცესების გაუმჯობესება – სამსახურის უფროსის უფლებამოსილებების დაზუსტება მიზნად ისახავს შიდა მართვის, ანგარიშგებისა და კოორდინაციის პროცესების გაძლიერებას, ასევე რეკომენდაციების შესრულების ზედამხედველობის ინსტიტუციონალიზაციას

ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება გავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

პროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება
პროექტი არ მოახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე

ე) პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2026 წლის __